

საქართველოს განათლების და
მეცნიერების სამინისტრო
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

2(51)

ლევან იტრიაშვილი
მრავალმიზნობრივი
კოლიმიერალური კომპოზიტი
(მიღების და გამოყენების
ტექნოლოგიები)

თბილისი

მეცნიერება
2008

ქართული ბენტონიტების მოდიფიკაციის მარტივი ინოვაციური ტექნოლოგია

პროდუქტი


ახალი ეკოლოგიურად სუფთა მრავალმიზნობრივი
წყალმაკუმულირებელი პოლიმინერალური კომპოზიტი

გაჯირჯვების შედეგად იერთებს თავისი მოცულობის 100 მოცულობამდე წყალს. არ კარგავს თვისებებს გაჯირჯვების, გაყინვის, გალღობის და შრობის შემდეგ -50°C 200°C დიაპაზონში. არატოქსიკურია, არ შედის ქიმიურ რეაქციებში, მდგრადია რადიაციულ, ბიოლოგიურ, კლიმატურ და სხვა ზეგავლენების მიმართ, ეკოლოგიურად უსაფრთხოა.

წყალთან ერთად შუძლია შთანთქოს მიკროელემენტები და საკვები ნივთიერებები, რომლებიც აგრეთვე შეიძლება შეყვანილი იყოს კაველასტში მისი დამზადების პროცესში და შემდეგ გაიცეს შთანთქმულ წყალთან ერთად.

სასაქონლო სახე: სხვადასხვა დისპერსულობის ფხვნილები.

პატენტი P 3662



კომპოზიტი საწყის და გაჯერებულ მდგომარეობაში



გამოყენების სფეროები

ტექნოლოგიურად მარტივი მაღალეფექტური მასალები, კომპოზიტები, ტექნოლოგიები, ტექნიკური და კონსტრუქციული გადაწყვეტები ნებისმიერი ადგილობრივი გრუნტების, ინერტული შემავსებლების და ნარჩენების გამოყენებით.

მასალების დამზადების ტექნოლოგია - უბრალო მექანიკური ნარევები, შემადგენლობა დისპერსული შემავსებელი 50-95%, კომპოზიტი 5-50%, წყალი 10-500%.

გამოყენების მიმართულებები

- . სხვადასხვა ფილტრაციის საწინააღმდეგო კონსტრუქციები და ელემენტები
- . ბრტყელი გადახურვების, საძირკვლების, მიწისქვეშა ნაგებობების და კომუნიკაციების, გვირაბების და მილსადენების ჰიდროიზოლაცია
- . ნაპრალების, ნაწიბურების, პირაპირების და ნაგებობათა მექანიკური დაზიანებების ჰერმეტიზაცია
- . ახალი მარკების ბეტონების და ქვიშაცემენტის ნარევების დამზადება
- . ახალი საბურღე ხსნარების და ტამპონაჟური მასალების დამზადება
- . წყალ და ჰაერგაუმტარი ფარდების მოწყობა
- . ტოქსიკური ნარჩენების შენახვის ეკრანირება და კონსერვაცია
- . ცეცხლდამცავი დაფარვების მოწყობის და ხანძრების ჩაქრობის ახალი მეთოდები
- . ნიადაგგრუნტების წყალმააკუმულირებელი თვისებების გაზრდა, მათი დაცვა ეროზიისაგან და აგრომელიორაციული თვისებების გაუმჯობესება